პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 227 (7038) 28 1981 წ. ნოემბერი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




მსოფლიო XXI ჩემპიონატი ტანვარჯიშში




## აღზრდის ჩინებული კერა

### შრომის წითელი დროშის ორდენოსან ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო სულითა და გულით ულოცავენ შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მრავალრიცხოვან კოლექტივს, ნორჩი თაობის კომუნისტური აღზრდის ამ ჩინებული კერის დაარსების მე-40 წლისთავს.

პიონერთა სასახლეს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით პიონერებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. საზოგადოებრივ ცხოვრების დიდ ასპარეზზე გამოსულმა არა ერთმა თაობამ მის კედლებში აიდგა ფეხი, ეზიარა სამშობლოსა და ხალხის სიყვარულს, პარტიის იდეების ერთგულებას, საქვეყნო საქმისადმი თავდადებას.

პიონერთა სასახლე ჩამოყალიბდა პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ჭეშმარიტ სკოლად, რესპუბლიკის პიონერული მუშაობის ცენტრად, რომლის მოღვაწეობა გამოირჩევა შემოქმედებითი ძიებით, პედაგოგთა მაღალი პროფესიონალიზმით, საქმის სიყვარულითა და ენთუზიაზმით.

პიონერთა სასახლე რესპუბლიკის მოზარდი თაობისათვის იყო და არის ერთგული მეგობარი და მრჩეველი, პიონერული, კომკავშირული, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის, ახალგაზრდა ლენინელთა მოძრაობის პროპაგანდისტი და ორგანიზატორი — იგი მხარში უდგას სკოლას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მცოდნე, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის, გონიერი და მტკიცე რწმენის მქონე თაობის აღზრდაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის ზრუნვამ და მხარდაჭერამ, რესპუბლიკის სახელოვანი ადამიანების — ბრძოლისა და შრომის გმირების, მუშათა კლასის, სოფლის მშრომელთა, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის თვალსაჩინო წარმომადგენელთა თანადგომამ, ბევრად განაპირობა პიონერთა სასახლის დღევანდელი წარმატება, მისი საქვეყნო აღიარება. მისი აღსაზრდელები მრავალ საკავშირო კონკურსსა თუ შეჯიბრში გამარჯვებულნი გამოსულან, მოუპოვებიათ ბევრი ფესტივალისა თუ დათვალიერების პრიზები და დიპლომები, ხოლო მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი ლენინური კომკავშირის ლაურეატი გახდა.

ორმოცი წელია სასახლე პირნათლად ემსახურება ნორჩი თაობის აღზრდის უაღრესად პასუხსაგებ და მამულიშვილურ საქმეს; უნერგავს მას საბჭოთა პატრიოტიზმის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, კომუნისტური პარტიის, ლენინური კომკავშირის, პიონერული ორგანიზაციის სახელოვანი ტრადიციებისადმი ერთგულებას.

დღეს, როდესაც მთელი ჩვენი ხალხი უდიდესი შრომითი აღმავლობით ახორციელებს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, სასახლის კოლექტივი მთელ თავის საქმიანობას წარმართავს იმ მიმართულებით, რომ უფრო მეტად გააქტიუროს მუშაობა საყოველთაო სახალხო მოძრაობაში საქართველოს პიონერული ორგანიზაციის, ყოველი ნორჩი ლენინელის დასარაზმავად, იბრძვის იმისათვის, რომ ქვეყნისა და მშრომელთა ინტერესებს დაუქვემდებაროს საკავშირო „პიონერული მარშის“ ყოველი მარშრუტი, პრაქტიკულად შეასხას ხორცი პიონერთა VIII საკავშირო, XII რესპუბლიკური შეკრებებისა და საქართველოს პიონერმუშაკთა რესპუბლიკური კრების გადაწყვეტილებებს, პიონერული შრომითი ხუთწლედის დავალებებს, აღზარდოს მომავალი მოქალაქენი ყოველგვარი ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, კომუნისტთა გმირული მაგალითებით.

ეს არის დღეს სასახლის მთელი კოლექტივის ძირითადი საზრუნავი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო უსურვებენ პიონერთა სასახლის პედაგოგიურ კოლექტივს, მის ყველა თანამშრომელს, აღსაზრდელთა მრავალათასიან არმიას კიდევ უფრო მჩქეფარე, შთამაგონებელ შემოქმედებით საქმიანობას და ახალ, დიდ წარმატებათა მოპოვებას ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს | საქართველოს | საქართველოს |
| კომპარტიის | სსრ უმაღლესი | სსრ |
| ცენტრალური | საბჭოს | მინისტრთა |
| კომიტეტი | პრეზიდიუმი | საბჭო |






## საბჭოთა ტანვარჯიშული სკოლის ახალი გამარჯვება

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის ვაჟთა და ქალთა ნაკრები გუნდები — მსოფლიოს XXI ჩემპიონატში გამარჯვებულები.

იხ. მე-3 გვ.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღსაზრდელად გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაარსების მე-40 წლისთავთან დაკავშირებით ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე დაჯილოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 18 ნოემბერი.

## დამსახურებისთვის

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის 40 წლისთავთან დაკავშირებით, სასახლის სპორტული ჯგუფების ხანგრძლივი უნარიანი ხელმძღვანელობისთვის საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭა: ჭადრაკში ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლის მწვრთნელს ა. იზვოზჩიკოვს და ტურიზმის კაბინეტის მასწავლებელს დ. გოზალიშვილს.

კომიტეტის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ: ჭადრაკში სპეციალიზებული სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ა. ბოკუჩავა და მხატვრული ტანვარჯიშის სპორტული სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ტ. ბახტაძე.

საქართველოს სპორტკომიტეტმა სიგელებით დააჯილდოვა, აგრეთვე პიონერთა სასახლის მწვრთნელთა და მასწავლებელთა დიდი ჯგუფი.




# აქედან იწყება გზა სპორტში

**საზეიმო** განწყობილება სუფევს ბორის ძნელაძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. ნორჩი თაობის იდეურ-ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის კერას ამ დღეებში ხომ 40 წლის თავი შეუსრულდა. პიონერთა სასახლის დაარსებისთანავე ნაყოფიერ მუშაობას შეუდგნენ სპორტული სექციები, ფართოდ გაიშალა ფიზკულტურული მუშაობა, რომლის მიზანი იყო არა მარტო მოზარდი თაობის გაჯანსაღება, არამედ ყოველმხრივ განვითარებული, შრომისმოყვარე და სამშობლოს დამცველი ახალგაზრდობის აღზრდა. გასაკვირი არ არის, რომ ამ ტრადიციებზე, რომლებსაც დიდი სამამულო ომის დღეებში ჩაეყარა საფუძველი, იზრდებოდა და იზრდება პატრიოტთა მრავალი თაობა.

სანაქებო იყო და დიდი პოპულარობით სარგებლობდა პიონერთა სასახლესთან არსებული კალათბურთის, ფრენბურთის, სპორტული ტანვარჯიშის, ჭიდაობისა და სროლის სექციები, რომლებსაც საუკეთესო მწვრთნელები თ. გეგელაშვილი, შ. მარგიშვილი, ნ. მახვილაძე, პ. იორდანიშვილი, ს. ბარაბაძე და სხვები ხელმძღვანელობდნენ.

სასახლე სამართლიანად ამაყობს თავისი აღზრდილებით. სწორედ აქ აიღეს სტარტი დიდი სპორტისაკენ ნონა გაფრინდაშვილმა, ნანა ალექსანდრიამ, ტიგრან პეტროსიანმა, რევაზ ცირეკიძემ, გურამ ლორთქიფანიძემ, შოთა ქველიაშვილმა, ვაჟა კაჭარავამ და სხვებმა.

...შევდივართ სასახლის ერთ-ერთ კაბინეტში. ჭადრაკის დაფებს მისხდომიან ბავშვები. ჩაფიქრებულან, შემოსულთ ვერც გვამჩნევენ. გავა წლები, იქნებ რომელიმე მათგანი საერთაშორისო დიდოსტატი, ან მსოფლიო ჩემპიონიც კი გახდეს, ახლა კი ისინი მორიგ სვლაზე ფიქრობენ, დროდადრო შეჰყურებენ მწვრთნელს, რომელიც ყურადღებით ადევნებს თვალს მათს ყოველ სვლას. ზოგს შენიშვნას აძლევს, ზოგს გასამხნევებლად ზურგზე მოუთათუნებს ხელს, ზოგს უბრალოდ გაუღიმებს.

არჩილ მეგრელიშვილი 20 წელია მუშაობს აქ და საკმაოდ კარგად წვდება პატარების სულიერ სამყაროს. გამოცდილება მან მემკვიდრეობით მიიღო სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძისგან — იმ შესანიშნავი პედაგოგისგან, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკე ქალთა მიღწევები. დღეს პიონერთა სასახლეში არსებული ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ჭადრაკის სპეციალიზებულ სკოლაში (დირექტორი დიდოსტატი ნ. ალექსანდრია) 300-მდე მოზარდი მეცადინეობს. ამ სკოლის აღსაზრდელები წარმატებით გამოდიან სხვადასხვა ასპარეზობაში. წლეულს, საკავშირო შეჯიბრებაში „თეთრი ეტლი", საქართველოს ნაკრებმა, რომელიც ამ სკოლის მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული, III საპრიზო ადგილი დაიკავა.

70-ზე მეტი ნორჩი მუშკეტერი ვარჯიშობს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის ბ. მათითაიშვილის ხელმძღვანელობით. როცა ვუცქერით ნორჩ მოფარიკავეთა სავარჯიშო ორთაბრძოლებს, გვგონია, რომ ბილიკზე გამოცდილი სპორტსმენები არიან, თუმცა, გვერდს ვერ ავუვლით იმ სავალალო ფაქტს, რომ ბავშვები უხეირო პირობებში ვარჯიშობენ. მუშკეტერთა „რეზიდენციაში" შემთხვევით მოხვედრილ პირსაც არ ესიამოვნება თუ რა მდგომარეობაშია დარბაზი. იგი საფუძვლიან რემონტს საჭიროებს.

ტანვარჯიშის დარბაზში ის-ის იყო მეცადინეობა უნდა დაეწყო უმცროსი ასაკის ჯგუფს. მწვრთნელის შემოსვლამდე ბავშვები დამოუკიდებლად გულმოდგინედ ვარჯიშობდნენ. ზოგი ცეკვავდა, ზოგი ყირაზე გადადიოდა... ჩვენი ყურადღება მიიპყრო დიდბაფთიანმა გოგონამ, რომელიც ამაოდ ცდილობდა „შპაგატის" გაკეთებას.

— რატომ არ გამომდის. — წაილუღლუღა და ატირდა.

— რა გქვია, გოგონა?

მან აცრემლებული თვალებით შემომხედა, მერე მორცხვად გაიღიმა, მაგრამ არაფერი მიპასუხა.

— რამდენი წლის ხარ?

— მალე შვიდის გავხდები! — მომაძახა და ამხანაგებისკენ გაიქცა.

—მხატვრული ტანვარჯიშის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლა (დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნ. სალაძე) ჩვენს სასახლეში შარშან, ოლიმპიურ წელს გაიხსნა. — თქვა სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ტ. ბახტაძემ. — ცნობილი მწვრთნელების ნ. სალაძის, ლ. მეყანწიშვილის, გ. გედევანიშვილის, თ. ზურაბიშვილის, ქორეოგრაფის ნ. რასჩეპკინას ხელმძღვანელობით 250 გოგონა ეუფლება სპორტის ამ ულამაზეს სახეობას. ჩვენი სკოლის აღსაზრდელები არა მარტო სპორტულ შეჯიბრებებში გამოდიან, არამედ აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებაში. მიმდინარე წლის თვალსაჩინო მიღწევა იყო მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადაზე მოპოვებული IV ადგილი. საქართველოს ნაკრები სასახლის ტანმოვარჯიშეებით იყო დაკომპლექტებული.

—პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ასევე წარმატებით მუშაობს ავტო და სახანძრო-ტექნიკური კაბინეტები. — გვეუბნება სპორტული განყოფილების გამგე ჯ. ჯანაშია. — გვყავს ნორჩი ტურისტები, მთამსვლელები... ჩვენთან ხომ მხოლოდ ისეთები მოდიან, ვისაც გულით უყვარს სპორტი.

მაშ, მოდით, გზა დავულოცოთ დიდი სპორტისაკენ სასახლის ნორჩ სპორტსმენებს. მრავალი გამარჯვებებით ესახელებინოთ საბჭოთა ქვეყანა, რესპუბლიკა და მშობლიური სასახლე.

ა. ზენკო.

# მხოლოდ ტყორცნებში...

**სამტრედიის** „ლოკომოტივის" სტადიონზე ჩატარდა მოსწავლე მძლეოსანთა რაიონული პირველობა ტყორცნებში. სარბიელზე გამოვიდა 16 საშუალო და რვაწლიანი სკოლების სამასზე მეტი აღსაზრდელი. სოფლის საშუალო სკოლებს შორის თავი ისახელეს დიდჯიხაიშელებმა. ქალაქის სკოლებიდან პირველობა მოიპოვა №4 სკოლის კოლექტივმა. რვაწლიან სკოლებში ბადალი არ ჰყავდათ ნაფალაურელებს.

142-მა ბავშვმა შეასრულა მოზარდთა სხვადასხვა თანრიგის ნორმატივი.

ი. ნიჟოლეიშვილი.

# ემსახურე სამშობლოს!

**ფიზკულტურა** და სპორტი სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში. გამაჯანსაღებელი მოძრაობა — სოციალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო მიღწევა, ფართოდ შლის ფრთებს. ფიზკულტურის, სპორტის, ტურიზმის მასობრიობას კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა მუდამ თვლიდა პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარების საუკეთესო საშუალებად, მისი აქტიური სასიცოცხლო პოზიციის ფორმირების, სსრ კავშირის კონსტიტუციით მინიჭებული მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და დასვენების უზრუნველყოფის პირობად. ფიზკულტურა განვითარებული სოციალიზმის პირობებში ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების ზრდას.

საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის კომუნისტური პარტიის ზრუნვის ახალი გამოვლინებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ა. წ. სექტემბრის დადგენილება „ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლების შესახებ". მისი მიზანია ხელი შეუწყოს საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის გაკაჟებას, მათი შრომისნაყოფიერების ამაღლებას, სამშობლოს, სოციალიზმის მონაპოვრის დასაცავად მზადყოფნას, ძალის, ამტანობის, გამბედაობის გამომუშავებას.

როცა დადგენილება ამ ამოცანების შესრულებისკენ მოგვიწოდებს, იქვე გვისახავს მისი გადაწყვეტის გზებს — ფიზკულტურულმა კოლექტივებმა, სპორტსაზოგადოებებმა, უწყებებმა, საბინაო სამმართველოებმა, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ფიზკულტურასა და სპორტში მოსახლეობის ყველა ფენის ჩაბმას უშუალოდ საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობებზე, სასწავლებლებში, საცხოვრებელ ადგილებში — ყველგან უნდა შეიქმნას ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის სათანადო პირობები.

ეს ადრეც იყო ჩვენი კომუნისტური პარტიის ზრუნვის საგანი, მაგრამ ახლა გაცილებით უფრო ფართო მასშტაბი მიიღო, ამიტომაც დღის წესრიგში დადგა სულ უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ არსებული სპორტული ნაგებობანი, მათი კარი ფართოდ გავაღოთ ყველასათვის, ვინც მას ჯანმრთელობის გასაკაჟებლად გამოიყენებს, უზრუნველვყოთ ხარისხიანი აღჭურვილობით, სპორტული ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით, ინვენტარის მეტი რაოდენობით, ვინაიდან უამისოდ ვარჯიშის ეფექტიანობა კლებულობს.

დადგენილებაში დიდი ყურადღება დაეთმო მოსახლეობის ყველა ფენის ფიზიკური აღზრდის საფუძველს — მშთ კომპლექსს, მისი ფორმების შემდგომი სრულყოფის აუცილებლობას, კომპლექსის როლს ახალგაზრდობის სამხედრო სამსახურისთვის მომზადების საქმეში, ამიტომაც ახლა ყველგან ყველა საშუალებით უნდა მივაღწიოთ წვევამდელთა შორის მშთ კომპლექსის ნიშნოსანთა მზადების საქმეში ფორმალიზმის აღმოფხვრას.

ჩვენს რესპუბლიკაში ამ მხრივ საქმე თითქოს ცუდად არ გვაქვს —ადგილობრივი ორგანიზაციები, დოსააფის კომიტეტებთან ერთად სამხედრო კომისარიატების ხელშეწყობით დადებითად წყვეტენ საკითხს — უნარიანად უძღვებიან წვევამდელთაგან მშთ კომპლექსის ნიშნოსნების მომზადებას, არმიაში გაწვევამდე ახალგაზრდებში სპორტის ტექნიკური და სამხედრო-გამოყენებითი სახეობების დანერგვას.

მაგრამ საქართველოს ქალაქების, რაიონების კომისარიატების მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულთა შორის ჯერ კიდევ ვხვდებით ახალგაზრდებს, რომელთაც მშთ კომპლექსის ნორმატივი მთლიანად არ აქვთ ჩაბარებული, ან ყალბი ნიშნოსნები არიან და იქ, სამხედრო სამსახურში ვერ ავლენენ სათანადო ფიზიკურ მომზადებას — უჭირთ ცურვა, სირბილი, უხეიროდ ისვრიან, ნაკლებად იცნობენ სპორტის გამოყენებით და ტექნიკურ სახეობებს.

ეს-ეს არის დამთავრდა მორიგი გაწვევა, საბჭოთა არმიამ ახალი შევსება მიიღო, სამშობლოს წინაშე ვალმოხდილთა ადგილი ახალბედებმა დაიკავეს, მათ შორის საკმაოდ არიან ფიზკულტურელები და სპორტსმენები, რომელთაგან არმიის სპორტული კლუბის მწვრთნელები არა ერთ და ორ ნიჭიერ ათლეტს აღზრდიან, ბევრს სსრ კავშირის III ახალგაზრდულ თამაშებში საქართველოს ღირსების დაცვასაც ანდობენ, ზოგს იქნებ ხალხთა VIII საკავშირო სპარტაკიადაშიც მოუწიოს ძალების გამოცდა, მაგრამ მთავარი არის ის, რომ ისინი უშიშრად დგანან საბჭოთა სამშობლოს, სოციალიზმის მონაპოვრის სადარაჯოზე მანამ, ვიდრე მათი ყავლიც არ გავა, ვიდრე მათ ადგილზე კიდევ უფრო გაწვრთნილი, ქვეყნის ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ ამ გამაჯანსაღებელი ღონისძიებით მადლცხებულნი არ მივლენ.

# ასე თანდათან იწრთობიან ბიჭები



—**იარაღთან!** — ისმის ოფიცრის განკარგულება.

მტკიცე ნაბიჯით ღერძთან მიდის ჯარისკაცი. ეს გახლავთ რიგითი ელგუჯა მუხაშავრია, რომელიც საბჭოთა არმიის რიგებში სულ ერთი თვეა მსახურობს.

ზამბარისებური ნახტომი და ხელები ღერძს შემოეჭდო. მას ოსტატურად მიაქვს გაჭიმული ფეხები ღერძთან. ახალგაზრდა ჯარისკაცები ალტაცებით ადევნებენ თვალყურს მის ყოველ მოძრაობას: როგორ ლამაზად, ზუსტად და კარგად გამოსდის ყველაფერი. სამხედრო-სპორტული კომპლექსის ნორმატივებით განსაზღვრულ მოძრაობებს იგი წარმატებით ასრულებს. ჩამოხტომიც შესანიშნავად გამოუვიდა.

— აი, ეს მესმის! — გაისმა მწყობრიდან.

ყველაფერი კანონზომიერია. მუხაშავრია სკოლიდანვე მეგობრობდა სპორტს. ხშირად მონაწილეობდა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში და მუდამ საპრიზო ადგილებზე გადიოდა. ამ ტრადიციას იგი დღესაც არ ღალატობს.

ერთმანეთის მიყოლებით მიდიან სპორტულ იარაღთან ახალბედები. მათ შორის: გ. მარტიაშვილი, მ. მესხი, გ. ოჰანესიანი. ესენი საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევამდე მისდევდნენ სპორტს, აქვთ თანრიგები მძლეოსნობაში, ჭიდაობაში, ამიტომაცაა, რომ ვარჯიშებს ლამაზად, დახვეწილად ასრულებენ.

მაგრამ ყველამ როდი შეძლო ასევე წარმატებით გაემეორებინა ის, რაც თანრიგოსანმა სპორტსმენებმა შეასრულეს. ათეულის მეთაურმა, სერჟანტმა ს. მოსკვინმა პირველივე მეცადინეობის შემდეგ შეატყო ვის დასჭირდებოდა დახმარება ფიზიკურ მომზადებაში და ახლა მათ ავარჯიშებს თავისუფალ დროს. სერგეი ახალგაზრდებს ასწავლის კროსის დროს სუნთქვისა და სირბილის შეხამებას. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საერთო ფიზიკურ მომზადებას, რომელიც ხელს უწყობს ძალის, მოქნილობისა და გამძლეობის გამომუშავებას. შემდეგ კვლავ შეუდგება ღერძზე პირველდაწყებითი ვარჯიშის დახვეწას. თუ რომელიმეს არ გამოსდის ელემენტი, მას რამდენჯერმე ამეორებინებს. ვარჯიშის შესრულების სისწორეს კონტროლს უწევენ ზემოდასახელებული თანრიგოსანი სპორტსმენები, ახლა ისინი მეთაურის პირველი თანაშემწეები არიან სპორტში.

ასე, თანდათან გროვდება გამოცდილება, მაგრდება ჭაბუკთა კუნთები.

ათეულის მეთაურმა შეძლო ახალბედებისთვის შეეყვარებინა სპორტი — სამხედრო სამსახურში წარმატებათა მიღწევისა და ქვეგანყოფილების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა.

მიმდინარეობს მორიგი მეცადინეობა ფიზიკურ აღზრდაში.

— რიგითო ფოლკ, იარაღთან!

—განკარგულებას იძლევა ათეულის მეთაური.

იარაღთან დგება მხარბეჭიანი ჯარისკაცი. იგი ყველაფერს აკეთებს ისე, როგორც მეთაურმა ასწავლა. შეფასება „ფრიადი". პირველმა წარმატებამ ფოთელი ა. ფოლკი მორიგი მიღწევებისთვის განაწყო. იმ დღეს იგი პირველი იყო კილომეტრიან კროსშიც.

სამსახურის პირველ დღეებში ფიზმომზადებაში შესამჩნევ წარმატებებს მიაღწიეს გ. სულეიმანოვმა ა. ვასიუტინმა, ო. კილაძემ, გ. აბრამიანმა, ტ. შარიპოვმა და სხვებმა. ეს კი უპირველესად ათეულის მეთაურის, სერჟანტ ს. მოსკვინის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. თავის მუშაობაში იგი ეყრდნობა თანრიგოსან სპორტსმენებს, რომლებიც საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევამდე დიდ ყურადღებას უთმობდნენ სპორტს.

ა. პავლოვსკი,
პოდპოლკოვნიკი.

* * *

**სურათზე:** ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ერთ-ერთი ქვეგანაყოფის ახალბედა ჯარისკაცები ფიზიკური მომზადების დროს.

ავტორის ფოტო.




● „ოლიმპიური“ გულთბილად მასპინძლობს სპორტულ ტანვარჯიშში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეებს.

# საბჭოთა ტანვარჯიშული სკოლის ახალი გამარჯვება

**ფოტორეპორტაჟი სარბიელიდან**



● ტანვარჯიშის ახალი ვარსკვლავი—15 წლის მოსკოველი მოსწავლე ოლღა ბიჩეროვა.



● ახალგაზრდა ვლადიმერელი სპორტსმენი იური კოროლიოვი საუკეთესოდ ასპარეზობს მიშელ ბუტარი. მოსკოვის დიდ ჩემპიონატზე.



● საფრანგეთის ტანმოვარჯიშეთა ლიდერი



● ეს კი ოლიმპიადა 80-ის აბსოლუტური ჩემპიონი ელენე დავიდოვაა.



● დიდოსტატურად გამოდის ორძელზე იაპონელი ნ. კაძიტანი.



● მსაჯებსაც უჭირთ რუმინელი ტანმოვარჯიშეების, ტყუპი ძმების ი. და მ. ნიკოლაის ერთმანეთისაგან გარჩევა.



● ვარჯიშობს ოლიმპიური ჩემპიონი, ბულგარელი ს. დელჩევი.

ფოტოსურათები სპეციალურად „ლელოსთვის“ გადაიღო მოსკოველმა ფოტორეპორტიორმა ბორის სვეტლანოვმა („სოვეტსკი სპორტი“).

# სილამაზისა და სიხაშქის ზეიმი „ოლიმპიურში“

**მოსკოვის** დახურული სტადიონის „ოლიმპიურის“ სპორტული დარბაზი მხურვალედ მიესალმა პირველ ჩემპიონებს — მსოფლიოს პირველობის ვაჟთა გუნდური ტურნირის გამარჯვებულებს. **ოქროს ლაურეატები გახდნენ საბჭოთა ნაკრების ტანმოვარჯიშეები — ალექსანდრე დიტიატინი (ლენინგრადი), ალექსანდრე ტკაჩოვი (მოსკოვი), იური კოროლიოვი (ვლადიმირი), არტურ აკოფიანი (ერევანი), ბოგდან მაკუცი (ლვოვი), პავლე სუტი (მინსკი).** სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამების შესრულების შემდეგ საბჭოთა გუნდმა მიიღო 588,95 ქულა. ვერცხლის მედლები გადაეცა იაპონიის ნაკრებს (585,85) , ბრინჯაოს — ჩინეთისას (583,90).

საბჭოთა ნაკრებმა ზედიზედ მეორედ იზეიმა ასეთი გამარჯვება, სულ კი უმაღლეს ტიტულს გუნდურ ჩათვლაში იგი 1954 წლიდან მეოთხედ ფლობს.

— ისეთი ოსტატობის დემონსტრაცია, როგორიც ჩვენ ვაჟთა ტურნირში ვიხილეთ, არასოდეს მინახავს და აი, ამგვარ ბრწყინვალე ფონზე საბჭოთა ნაკრები მოკამკამე ვარსკვლავად გამოიყურებოდა. მისი გამარჯვება დამსახურებულია და უდავო. —ასეთი კომენტარი გაუკეთა გუნდურ ტურნირს ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. კლიმენკომ.

თუმცა ტანვარჯიშში ჩვეულებრივ რეკორდებს არ აღნუსხავენ, გუნდური პირველობის უკანასკნელი საღამო ფრიად... სარეკორდო იყო. მსაჯებმა, რომლებსაც მაინცდამაინც ვერ დასწამებთ გულუხვობას, მარტო ბოლო ცვლაში სამი უმაღლესი შეფასება (10 ქულა) „გაიმეტეს“. ექვსჯერ ელექტროტაბლოზე 9,95 ქულა აღინუსხა, 29-ჯერ — 9,9. უნდა ითქვას, რომ ღერძზე მოვარჯიშეებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბეს. სწორედ ამ იარაღზე დაიმსახურეს უმაღლესი შეფასება საბჭოთა ოსტატებმა ა. აკოფიანმა და ა. ტკაჩოვმა, ჩინელი სპორტსმენის ფეი ტუნის გამოსვლის შემდეგ.

გუშინწინ, გვიან საღამოს, გამოვლინდნენ გუნდურ ბრძოლაში გამარჯვებული გუნდები ქალთა შორის. **ოქროს მედლების მეორე კომპლექტიც საბჭოთა ნაკრებს გადაეცა.** ჩემპიონებმა 389,30 ქულა მოაგროვეს და საკმაოდ დამაჯერებლად გაუსწრეს მომდევნო პრიზიორებს — ჩინეთისა (384,60) და გდრ-ის (382,10) სპორტსმენებს.

— დიდი სიამოვნებით ვულოცავ ჩემს მეგობრებს დიდ გამარჯვებას, — თქვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნელი კიმმა. — საბჭოთა გოგონების გამარჯვებაში დავრწმუნდი უკვე სავალდებულო პროგრამის შესრულების შემდეგ, ვინაიდან მოსკოვის ტურნირზე არც ერთ გუნდს არ ჰყავს ასეთი თანაბარი შემადგენლობა. საბჭოთა ნაკრებში დაყოფა ლიდერებსა და „აუტსაიდერებს“ შორის ძალზე პირობითია.

აი, ვინ იცავდა ჩვენი გუნდის ღირსებას: ოლიმპიადა-80-ის აბსოლუტური ჩემპიონი **ლენინგრადელი ელენე დავიდოვა, კიეველი სტელა ზახაროვა, მარია ფილატოვა ლენინსკ-კუზნეცკიდან, ალმაათელი ნატალია ილიენკო, გომელელი ელენე პოლევაია და მოსკოველი ოლღა ბიჩეროვა.**

გუნდური ბრძოლებით გართული ტანმოვარჯიშეები, ცხადია, არ ივიწყებდნენ იმასაც, რომ წინ პირადი ტურნირიც ელოდათ. ბრძოლა აქაც საკმაოდ მწვავე და საინტერესოა. საბჭოთა ტანვარჯიშის ლიდერის ა. დიტიატინის, რომელმაც, როგორც ცნობილია, ტრავმა მიიღო, „როლი“ იტვირთა 19 წლის ი. კოროლიოვმა. მრავალჭიდის ოთხ სახეობაში მისი შედეგები თითქმის ზღვარს ებჯინებოდა — 9,9. იგი სათავეში ჩაუდგა უძლიერესთა დავას 118,05 ქულით. მომდევნო ადგილებზე არიან ბ. მაკუცი (117,9) და ა. დიტიატინი (117,75). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლენინგრადელმა სამჯერ მიიღო 9,9 ქულა. სწორედ ზემოხსენებული სპორტსმენები იცავენ ჩვენი გუნდის ღირსებას აბსოლუტურ პირველობაში (წესების თანახმად გუნდებს სამ-სამი ტანმოვარჯიშე გამოჰყავთ).

ასევე ლიდერობს საბჭოთა სამეული ქალთა შეჯიბრებაშიც: ე. დავიდოვა — 78,25, ო. ბიჩეროვა — 77,9 და მ. ფილატოვა —77,45.

დიდი ტანვარჯიშული სპექტაკლი გრძელდება...

**(ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.).**

# ყველაზე ახალგაზრდა

**საჭადრაკო** სამყარო ჯერ კიდევ ა. კარპოვის მიერ მერანოში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შთაბეჭდილების ქვეშაა, მაგრამ ამ სახეობის მილიონობით მოყვარულთ ახალი დღესასწაული დაუდგათ: ფრუნზეში საზეიმოდ გაიხსნა უმაღლესი ლიგის ვაჟთა საკავშირო 49-ე ჩემპიონატი. ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონის სახელისთვის და მომავალი მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირის 5 საგზურისთვის აქ ბრძოლაში ჩაება 18 სპორტსმენი.

ჩემპიონატის მონაწილენი წილისყრით სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. ს. დოლმატოვი (მოსკოვი), 2. გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი), 3. ვ. კუპრეიჩიკი (მინსკი), 4. ბ. გულკო (მოსკოვი), 5. გ. აგზამოვი (ტაშკენტი), 6. გ. იუდასინი (ლენინგრადი), 7. გ. კასპაროვი (ბაქო), 8. ი. დორფმანი, 9. ო. რომანიშინი (ორივე — ლვოვი), 10. ე. სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი), 11. ვ. ტუკმაკოვი (ოდესა), 12. ვ. გავრიკოვი (ვილნიუსი), 13. ლ. ფსახისი (კრასნოიარსკი), 14. ა. იუსუფოვი (მოსკოვი), 15. ა. მიხალჩიშინი, 16. ა. ბელიავსკი (ორივე — ლვოვი), 17. ვ. ცეშკოვსკი (კრასნოდარი), 18. გ. ტიმოშჩენკო (ნოვოსიბირსკი).

უმაღლესი ლიგის ახლანდელი შემადგენლობა საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდულია — მონაწილეთა საშუალო ასაკი 30 წლამდეც ვერ აღწევს.

დიდოსტატებისა და ოსტატების ორთაბრძოლები გაიმართება ფრუნზეს ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტის სასახლეში, რომელიც 2500 მაყურებელს იტევს.

გუშინ პირველი ტურის შეხვედრები მოეწყო.



# გიწვევთ საიუბილეო გამოფენაზე,

## სადაც ფართოდ იქნება წარმოდგენილი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ამსახველი მასალები

**დღეს** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში იხსნება ახალი გამოფენა, რომელიც ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება რესპუბლიკის მიღწევები და წარმატებები მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის დარგში,

საგამოფენო დარბაზის მეორე სართულზე გამოფენილია აგრეთვე ფიზკულტურისა და სპორტის ამსახველი მასალები, ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების — საბჭოთა კავშირის, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონების მედლები, დიპლომები, სიგელები.

კარგი საჩუქარი ელით ფეხბურთის მოყვარულთ — ისინი საგამოფენო დარბაზში იხილავენ თბილისის „დინამოს" ოხტატ ფეხბურთელთა გუნდის მიერ ესპანეთიდან ჩამოტანილ თასს „კარაველას" და 1981 წელს დიუსელდორფში მიღებულ მეტად საპატიო ჯილდოს — ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასს.

ს. ნუცუბიძე



● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

## საწვრთნელი მატჩი

**29 ნოემბერს** ქ. ბრატისლავაში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. ამ მატჩისათვის სამზადისის პროგრამით სსრ კავშირის ნაკრებმა ესპანეთის ქალაქ კადიქსში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა ადგილობრივ „კადიქსთან" და გაიმარჯვა ანგარიშით 4:0 (1:0).

კადიქსის მატჩში 2 ბურთი გაიტანა ანდრეევმა, თითო — შენგელიამ და ბლოხინმა (პენალტი). სსრ კავშირის ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დასაევი (ნოვიკოვი), ლოზინსკი (ანდრეევი), დემიანენკო, სუსლოპაროვი, ბოროვსკი, დარასელია, გუცაევი (როდიონოვი), სულაქველიძე, გავრილოვი (ბალტაჩა), ბურიაკი, შენგელია (ბლოხინი).

## საბჭოთა სპორტსმენები უცხოეთში

**მაროკო.** ამ ქვეყნის ფეხბურთელებთან მოპოვებული რამდენიმე გამარჯვების შემდეგ მოსკოვის ტორპედოელები დამარცხდნენ კასაბლანკის „ვ. ა. კ."-სთან შეხვედრაში — 0:1. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში მოსკოველმა პეტრაკოვმა ვერ გამოიყენა პენალტი.

ამის შემდეგ ტორპედოელები ქ. სეტატში შეხვდნენ ქალაქის ნაკრებს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0. სამივე ბურთი გაიტანა პეტრაკოვმა.

**მავრიკია.** ინდოეთის ოკეანეში მდებარე ამ სახელმწიფოს ფეხბურთელებთან რამდენიმე მატჩი გამართა ოდესის „ჩერნომორეცმა". სტუმრებმა საკლუბო გუნდებს მოუგეს — 3:0, 5:1 და 6:1, ხოლო მავრიკიის ნაკრებთან გაიმარჯვეს უფრო დიდი ანგარიშით — 10:0.

**ადენი.** იემენის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სტუმრად არიან ოდესის არმიელი ფეხბურთელები. მათ ანგარიშით 5:3 მოუგეს ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების გუნდს. შემდეგ ოდესელებმა ითამაშეს ხადრამაუტის პროვინციის ნაკრებთან და კვლავ გაიმარჯვეს — 3:2.

**ამანი.** იორდანიის ნაკრებისა და მინსკის „დინამოს" ამხანაგური საერთაშორისო მატჩი დამთავრდა მინსკელ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 3:0.

## ევროპის ჩემპიონატი — საფრანგეთში?

**ბერნი.** ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის (უეფა) საორგანიზაციო კომიტეტმა მხარი დაუჭირა საფრანგეთის კანდიდატურას 1984 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობაზე.

ეს წინადადება საორგანიზაციო კომიტეტმა წამოაყენა უეფა-ს აღმასკომის სხდომის წინ, სადაც საბოლოოდ გადაწყდება თუ ვინ იქნება კონტინენტის მომავალი ჩემპიონატის მასპინძელი (საფრანგეთის გარდა ორგანიზატორობაზე პრეტენზიას აცხადებენ გფრ, ინგლისი და საბერძნეთი).

ევროპის მომავალ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ქვეყნების სარეკორდო განაცხადებია წარდგენილი — 33. შეჯიბრების მონაწილეთა ჯგუფები გაირკვევა წილისყრით, რომელიც იანვრის პირველ რიცხვებში გაიმართება საფრანგეთში.



## უეფა-ს თასზე

**გასულ** ოთხშაბათს გაიმართა უეფა-ს თასის მერვედფინალის I ტურის მატჩები ფეხბურთში. მოგვყავს მათი შედეგები:

„რადნიჩკი" (იუგოსლავია) — „ფეიენოორდი" (ჰოლანდია) 2:0

„რაპიდი" (ავსტრია) — „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) 0:1

„გეტებორგი" (შვეცია) — „დინამო" (ბუქარესტი, რუმინეთი) 3:1

„ლოკერენი" (ბელგია) — „კაიზერსლაუტერნი" (გფრ) 1:0

„აბერდინი" (შოტლანდია) — „ჰამბურგი" (გფრ) 3:2

„ვალენსია" (ესპანეთი) — „ჰაიდუკი" (იუგოსლავია) 5:1

„სპორტინგი" (პორტუგალია) — „ჰამაკსი" (შვეიცარია) 0:0.

ბელგიის „ვინტერსლაგი" და შოტლანდიის „დანდი იუნაიტედი" ითამაშებენ 1 დეკემბერს.

მერვედფინალის II ტურის მატჩები გაიმართება 9 დეკემბერს.

●

### სტატისტიკოსებმა ყველაფერი იციან

ვინ ითამაშა ეროვნულ ნაკრებში ყველაზე უფრო ახალგაზრდამ? ეს რეკორდი ეკუთვნის არგენტინელ ფეხბურთელს დ. მარადონას, რომელსაც დებიუტი ნაკრებში 16 წლის 4 თვისა და 15 დღისას ჰქონდა. ვ. ლიუბანსკიმ პოლონეთის ნაკრებში ითამაშა 16 წლის, 6 თვისა და 4 დღისამ. მხოლოდ მესამეა პელე. მას ბრაზილიის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა 16 წლის, 8 თვისა და 16 დღისას.



**როგორც** ვიტყობინებოდით, მოსკოვში მადრიდის დღეებთან გათვალისწინებული კულტურული პროგრამით დედაქალაქში სტუმრად იმყოფებოდნენ მადრიდელი ვეტერანი ფეხბურთელები.

მოსკოვისა და მადრიდის ვეტერანთა პირველი მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0, ხოლო მეორე შეხვედრა მოიგეს მოსკოველებმა — 3:0. ბურთები გაიტანეს ესკოვმა, გერშკოვიჩმა და პაპაევმა.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მოსკოვისა და მადრიდის ვეტერან ფეხბურთელთა შეხვედრის მომენტი. წინა პლანზე — მ. გერშკოვიჩი.

ბ. სვეტლანოვის ფოტო.
(„ლელოს" საკ. კორ.).

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფრენბურთი ● ფეხბურთი

● ფრენბურთი

## მსოფლიო თასი — ვაჟამდე

**ტოკიოში,** ფრენბურთელ ვაჟთა მსოფლიო თასის გათამაშების მე-5 ტურში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ლიდერები — სსრ კავშირისა და კუბის ნაკრები კოლექტივები. მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონებმა — საბჭოთა ფრენბურთელებმა პირველივე პარტიაში საგრძნობ სათამაშო უპირატესობას მიაღწიეს და 20 წუთში იგი გამარჯვებით (15:3) დაამთავრეს. სამაგიეროდ, მეორე პარტია უშელავათო, დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. გადამწყვეტ მომენტში, როცა ანგარიში 15:15 იყო, კუბელებმა ორი შეცდომა დაუშვეს და დამარცხდნენ — 15:17.

საბოლოოდ საბჭოთა ნაკრებმა გაიმარჯვა — 3:0.

გუშინ საბჭოთა ქვეყნის ნაკრებმა გუნდმა მორიგი გამარჯვება იზეიმა — სამ პარტიაში დაამარცხა იტალიის ნაკრები და ვადამდე მოიპოვა მსოფლიო თასი, რომელიც წლეულს მეოთხედ გათამაშდა. აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის ფრენბურთელმა ვაჟებმა მესამედ მოიგეს ეს ძვირფასი ჯილდო.

● აფროსნობა

## გ. ბიგანიშვილი დაწინაურდა

**სოჭის** მიდამოებში დაიწყო ტრადიციული შავი ზღვის რეგატა, რომელმაც 200-ზე მეტ უძლიერეს აფროსანს მოუყარა თავი. პირველ დღეს შტილის გამო რბოლა არ შედგა, ხოლო მეორე დღეს პირიქით — ძლიერი ქარის გამო მსაჯთა კოლეგია იძულებული გახდა რბოლა შემოკლებულ მანძილზე ჩაეტარებინა.

მესამე დღეს, როგორც იყო ნამდვილი საასპარეზო ამინდი დადგა. ორი რბოლის შემდეგ „ვარსკვლავის" კლასში დაწინაურდა ცნობილი ქართველი აფროსანი გ. ბიგანიშვილი. მას კვალში მისდევენ ა. ბალაშოვი და ვ. სოლოვიოვი. „სოლინგის" კლასში ლიდერობა ხელთ იგდო ბ. ზახაროვმა, ხოლო „ტორნადოთი" წინ არის მსოფლიოს ექსჩემპიონი ვ. პოტაპოვი, რომელსაც ოდნავ ჩამორჩება მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ი. კლივერი.

● კალათბურთი

## წაგებაც, მოგებაც

**კუიბიშევსა** და რიგაში გრძელდება კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის II წრის I ტურის მატჩები. თბილისის დინამოელებმა, რომლებიც კუიბიშევში ასპარეზობენ, მორიგი შეხვედრა კაუნასის „ჟალგირისთან" ჩაატარეს და დამარცხდნენ 91:103 (48:47).

გუშინწინ ქართველი კალათბურთელები კიევის ასკ-ს შეხვდნენ. დინამოელები თავიდანვე დაწინაურდნენ და ტაიმი 8 ქულის უპირატესობით მოიგეს — 49:41. ჩვენი გუნდი შესვენების შემდეგაც ალმაცლობით თამაშობდა და გაიმარჯვა — 104:95.

25 და 26 ნოემბერს გამართულ სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია:

**კუიბიშევი.** „სტატიბა" (ვილნიუსი) — „სტროიტელი" (კუიბიშევი) — 96:83, ცსკა—ასკ (კიევი) —94:91, „ჟალგირისი" (კაუნასი) — „სტროიტელი" — 82:80, ცსკა — „სტატიბა" — 116:85. **რიგა.** „სპარტაკი" (ლენინგრადი) —„დინამო" (მოსკოვი) — 89:84, „სტროიტელი" (კიევი) — „კალევი" (ტალინი) — 75:74, ვეფ-ი (რიგა) — რტი (მინსკი) — 104:83, „დინამო" — „კალევი" — 89:78, ვეფ-ი —„სპარტაკი"— 84 :66, „სტროიტელი"—რტი — 94:78.

● ხელბურთი

**რუმინეთის** ქალაქ ტირგი-მურეშის 3000-იან დარბაზში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა გუნდების XX საერთაშორისო ტურნირი „კარპატის თასზე". სსრ კავშირის ნაკრებმა პირველ მატჩში დაამარცხა რუმინეთის მეორე გუნდი — 27:20. რუმინეთის პირველი და საფრანგეთის ნაკრები კოლექტივების შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს — 30:19. პოლონეთისა და ესპანეთის ხელბურთელთა ორთაბრძოლაში გამარჯვების სასწორი პოლონელებისაკენ გადაიხარა — 24:23.

● შაში

**საერთაშორისო** შაშში მსოფლიო ჩემპიონის მინსკელ ა. განტვარგისა და ექს-ჩემპიონის ჰოლანდიელ ჰ. ვირსმას მატჩის მე-17 პარტია მე-60 სვლაზე ვირსმას გამარჯვებით დამთავრდა. როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის ეს ორთაბრძოლა ჰოლანდიაში მიმდინარეობს. ანგარიშია 9,5:7,5 ჰოლანდიელი დიდოსტატის სასარგებლოდ. მატჩის დამთავრებამდე სამი პარტია დარჩა.

პანორამა

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 15440